2021

დემოკრატიის
კვლევის
ინსტიტუტი

CORONAVIRUS
2019-nCoV

პანდემიის
პირველი წელი
აფხაზეთსა და
სამხრეთ ოსეთში/
ცხინვალის რეგიონში

დემოკრატიის კვლევის ცენტრმა წინამდებარე ანგარიში მოამზადა ღია წყაროებზე დაყრდნობით და საკონტაქტო პირების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. კვლევა მოიცავს 2020 წლის აპრილიდან 2021 წლის 5 მაისამდე პერიოდს.

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში, კოვიდ 19 პანდემიის შედეგად გაიზარდა ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები, მნიშვნელოვნად გაუარესდა ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობა; განსაკუთრებით, გადაადგილების თავისუფლების, სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობის და ჯანმრთელობის უფლების მიმართულებით.

სარჩევი

1. ვითარება და სტატისტიკა 4

2. ვაქცინაცია 5

3. პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვები 5

4. პანდემიის გავლენა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებელი ადამიანების უფლებრივ მდგომარეობაზე 6

განათლების უფლება 6

სამედიცინო სერვისებზე და მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა 6

5. პანდემიის გავლენა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებელი ადამიანების უფლებრივ მდგომარეობაზე 8

6. საზოგადოებრივი ორგანიზაციების განხორციელებული ქმედებები და რეკომენდაციები 8

რეკომენდაციები 9

1. ვითარება და სტატისტიკა

აფხაზეთში კოვიდ 19-ის პირველი შემთხვევა 2020 წლის 8 აპრილს დადასტურდა, ცხინვალში კი - 2020 წლის 6 მაისს.[1] ქართული წყაროების მიხედვით, ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა დაახლოებით 49 532[2] ადამიანისგან შედგება, აფხაზეთის - 243936[3].

2021 წლის 6 მაისის მდგომარეობით, ცხინვალის რეგიონში ინფიცირებული იყო 3409, გამოჯანმრთელებული კი - 3 080 ადამიანი.[4] კორონა ვირუსით გამოწვეული გარდაცვალების პირველი შემთხვევა 2020 წლის 18 ოქტომბერს დაფიქსირდა.[5] საჯაროდ ხელმისაწვდომი ბოლო მონაცემებით კოვიდ 19-ს ცხინვალის რეგიონში 60-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა.[6]

აფხაზეთში 2021 წლის 6 მაისის მდგომარეობით, ინფიცირებულთა რიცხვმა 14666-ს მიაღწია, გამოჯანმრთელდა 13660 ადამიანი, გარდაიცვალა 222. პირველი პაციენტი 2020 წლის 26 აპრილს გარდაიცვალა.

კოვიდ 19-ის სტატისტიკა (რაოდენობა)



2020-2021 წლებში, როგორც აფხაზეთის, ასევე ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის ნაწილი შესაძლებლობის ფარგლებში, სამკურნალოდ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოდიოდა (არამხოლოდ) უკიდურესად რთული შემთხვევების დროს. 2020 წლის 30 დეკემბრის მონაცემით, ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადმოყვანილ 250-ზე მეტ კოვიდ-ინფიცირებულ პაციენტს[7] გაეწია სამედიცინო მომსახურება.

---

[1] Civil.ge, 2020, „საერთაშორისო კრიზისების ჯგუფი აფხაზეთსა და ცხინვალში Covid-19-რეაგირებას აფასებს“, ხელმისაწვდომია <https://civil.ge/ka/archives/350885>, ბოლოს ნანახია 17.05.2021.

[2] შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია, „ოკუპირებული ტერიტორიები“, ხელმისაწვდომია <http://shidakartli.gov.ge/ge/pages/index/47>, ბოლოს ნანახია 17.05.2021.

[3] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, „დემოგრაფიული მდგომარეობა აფხაზეთში“, ხელმისაწვდომია <http://abkhazia.gov.ge/page/demografia>, ბოლოს ნანახია 17.05.21 .

[4] Civil.ge, 2021, „COVID-19-ყველა სიახლე“, ხელმისაწვდომია <https://civil.ge/ka/archives/342458>, ბოლოს ნანახია 17.05.2021 .

[5] რადიო თავისუფლება, 2020, „ცხინვალმა რუსეთთან ე.წ საზღვარი ჩაკეტა“, ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3uB32xR>, ბოლოს ნანახია 17.05.2021.

[6] რადიო თავისუფლება, 2020, „ახალგორში პედაგოგი გარდაიცვალა, „იზოლაციის“ კიდევ ერთი მსხვერპლი“, ხელმისაწვდომია <https://www.radiotavisupleba.ge/a/30894962.html>, ბოლოს ნანახია 17.05.2021.

[7] შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, 2020, „თეა ახვლედიანი - ოკუპირებული რეგიონებიდან მკურნალობის მიზნით საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე 250-ზე მეტი კოვიდინფიცირებული პაციენტი გადმოვიყვანეთ“, ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3uCqfzP>, ბოლოს ნანახია 17.05.2021.

2. ვაქცინაცია

2021 წლის 15 იანვრიდან რუსეთმა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განთავსებული თავისი სამხედრო კონტინგენტის კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია დაიწყო. ოფიციალურმა თბილისმა 2021 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით, აფხაზეთსა და ცხინვალს იმუნიზაციის პროცესში მედიკოსებისა და 65 წელს ზევით პირების ჩართვა შესთავაზა, [8] თუმცა, ორივე რეგიონის დე ფაქტო ხელმძღვანელობამ შეთავაზებაზე უარი თქვა.[9]

ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში 2021 წლის 30 აპრილს კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო რუსული[10] წარმოების ვაქცინის პირველი პარტია ჩაიტანეს. ცხინვალმა ვაქცინაცია 4 მაისს დაიწყო. აფხაზეთში, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის წყაროს ცნობით, იმუნიზაციის პროცესი 12 მაისიდან[11] დაიწყო. ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების გადაწყვეტილებით, 2000 დოზას პირველ ეტაპზე, სამედიცინო პერსონალი და საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულები მიიღებენ. აფხაზეთში 6500 დოზით პრიორიტეტულად აიცრებიან სამედიც-ინო პერსონალი და პედაგოგები, შემდეგ სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომლები, სახელმწიფო მოხელეები და ბოლოს, ყველა სხვა მსურველი.

3. პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვები

კორონავირუსის პანდემიის საბაბით აფხაზეთის ხელისუფლებამ ენგურის გამშვები პუნქტი 2020 წლის თებერვლის ბოლოს ჩაკეტა. მას შემდეგ სოხუმმა დანარჩენ საქართველოსთან ჰუმანიტარული დერეფანი რამდენიმეჯერ გახსნა. 2021 წლის 2 მარტს აფხაზეთის ომბუდსმენმა[12] რეგიონის დე ფაქტო ლიდერს მოუწოდა, ენგურის გამშვებ პუნქტზე არსებული შეზღუდვებისთვის გადაეხედა. კომენტარი ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის დისკრი-მინაციას ეხებოდა, რადგან აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობისთვის საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე შემოსასვლელი პუნქტი სრულად ჩაკეტილი იყო, მაშინ, როდესაც რუსეთისთვის აფხაზეთი 2020 წლის აგვისტოდან გაიხსნა. ომბუდსმენის განცხადებას წინ უძღოდა ენგურზე დაწესებული შეზღუდვების შემსუბუქება. 2021 წლის 11 თებერვლიდან რეგიონის მკვიდრთა გარკვეულ ჯგუფს: მოხუცებს, პენსიონერებსა და სპეციალური საჭიროებების მქონე პირებს თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადასვლის და უკან დაბრუნების უფლება მიეცათ[13].

აფხაზეთის ხელისუფლებამ პანდემიის დასაწყისში მიიღო სტანდარტული რეგულაციები[14] კომენდანტის საათის შესახებ, აგრეთვე, სასწავლო პროცესის შეწყვეტის და დისტანციურად გაგრძელების თაობაზე. დღეის მდგომარეობით, აღნიშნული შეზღუდვები მოხსნილია. ძალაშია მხოლოდ საქართველოსთან საზღვრის ჩაკეტვის შესახებ გადაწყვეტილება[15]. აფხაზეთის დე

---

[8] Civil.ge, 2021, „თბილისი ვაქცინაციას ოკუპირებული რეგიონების მედიკოსებსა და 65 წელს ზევით პირებსაც თავაზობს“, ხელმისაწვდომია <https://civil.ge/ka/archives/409333>, ბოლოს ნანახია 17.05.2021.

[9] Civil.ge, 2021, „ოკუპირებულმა ცხინვალმა და აფხაზეთმა კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო რუსული ვაქცინები მიიღეს“, ხელმისაწვდომია https://civil.ge/ka/archives/417749, ბოლოს ნანახია 17.05.2021.

[10] რადიო თავისუფლება, 2021, „ოკუპირებულმა ცხინვალმა და აფხაზეთმა კოვიდ19-ის საწინააღმდეგო რუსული ვაქცინები მიიღეს“, ხელმისაწვდომია <https://www.radiotavisupleba.ge/a/31220838.html>, ბოლოს ნანახია 17.05.2021.

[11] Oc-media, 2021, “Abkhazia to begin long–delayed vaccine rollout”, ხელმისაწვდომია <https://oc-media.org/abkhazia-to-begin-long-delayed-vaccine-rollout/> ბოლოს ნანახია 17.05.2021.

[12]Civil.ge, 2020, „აფხაზის ომბუდსმენი გალში მცხოვრებ ქართველთა უფლებების დარღვევებზე საუბრობს“, ხელმისაწვდომია <https://civil.ge/ka/archives/357938>, ბოლოს ნანახია 17.05.2021.

[13] Civil.ge, 2021, „სოხუმმა ენგურზე დაწესებული შეზღუდვები შეამსუბუქა“, ხელმისაწვდომია <https://civil.ge/ka/archives/396771>, ბოლოს ნანახია 17.05.2021.

[14] Livepress, 2021, „აფხაზეთში გაახანგრძლივეს პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვები“, ხელმისაწვდომია <https://bit.ly/2Sxxbjk>, ბოლოს ნანახია 17.05.2021.

[15] დე ფაქტო აფხაზეთის პრეზიდენტი, 2021, „ПРЕЗИДЕНТ АСЛАН БЖАНИЯ ПОДПИСАЛ РАСПОРЯЖЕНИЕ О ПРОДЛЕНИИ ОГРАНИЧИТЕЛЬНЫХ МЕР“ ხელმისაწვდომია<http://presidentofabkhazia.org/about/info/news/?ELEMENT_ID=13486>, ბოლოს ნანახია 17.05.2021

ფაქტო პრეზიდენტის განკარგულებით, პირველ ეტაპზე, 2020 წლის მარტში აფხაზეთში უცხო ქვეყნის მოქალაქეების შესვლა აიკრძალა, თუმცა შეზღუდვა რუსეთის მოქალაქეებს არ ეხებოდათ. აპრილში რეგულაციები გამკაცრდა და რეგიონში შესვლა უცხოეთის ყველა მოქალაქეს აეკრძალა, გარდა - აფხაზეთში აკრედიტებული დიპლომატიური ინსტიტუტების თანამშრომლების, აფხაზეთში რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური ბიუროს სამხედრო მოსამსახურეების, აფხაზეთში მივლინებით მყოფი რუსეთის გაერთიანებული სამხედრო ბაზების მოსამსახურეების და საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვების ავტომობილების მძღოლებისა. ანალოგიურად, ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებამ[16] 2020 წლის მარტში რეგიონში უცხო ქვეყნის მოქალაქეების შესვლა აკრძალა, თუმცა შეზღუდვა არ ეხებოდა რუსეთის მოქალაქეებს. 2020 წლის 27 თებერვალს[17], კორონა ვირუსის გამო ცხინვალმა დანარჩენ საქართველოსთან დამაკავშირებელი ყველა გამშვები პუნქტი ჩაკეტა.[18]

4. პანდემიის გავლენა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მაცხოვრებელი ადამიანების უფლებრივ მდგომარეობაზე

განათლების უფლება

აფხაზეთში, პანდემიის პირობებში, საქართველოს ხელისუფლების სათანადო ყურადღების მიღმა დარჩა გალის სკოლების დისტანციურ სასწავლო პროცესში ჩართვის საკითხი. გალში მცხოვრები მოსწავლეები, რომლებიც სასწავლებლად საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოდიან, შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის არ არსებობის ან ინტერნეტის სუსტი დაფარვის გამო, მოკლებულნი იყვნენ დისტანციურ სასწავლო პროცესში ონლაინ ჩართვის შესაძლებლობას.

სამედიცინო სერვისებზე და მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა

საკარანტინო შეზღუდვებმა გალის რაიონის მოსახლეობას განსაკუთრებულად გაურთულა სამედიცინო სერვისების მიღება.

გალისა და საბერიოს საავადმყოფოებში უკვე დიდი ხანია ვერ ხერხდება მედიკამენტების შეტანა და აღჭურვილობის განახლება.

აფხაზეთის მაცხოვრებლებს, რომლებიც გადაუდებელი სამედიცინო სერვისის მისაღებად ხშირად გადმოდიან საქართველოს ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე, პან-დემიის დასაწყისში ორკვირიან სავალდებულო კარანტინში უწევდათ ყოფნა, რის გამოც მკურნალობა უგვიანდებოდათ. სავალდებულო კარანტინის ვადა მოგვიანებით 8, ხოლო შემდგომ 5 დღემდე შემცირდა.

კარანტინისთვის თავის ასარიდებლად, არაერთი პაციენტი ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მოხვედრას შემოვლითი გზებით, მდინარე ენგურის გადა-ცურვით ცდილობდა. რამდენიმე პაციენტი შემთხვევით გადაურჩა დახრჩობას.

---

[16] რადიო თავისუფლება, 2020, „ომონი ცხინვალის საავადმყოფოში“, ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3y4Vohw>, ბოლოს ნანახია 17.05.2021.

[17] Civil.ge, 2020, „ცხინვალი კორონავირუსის გამო 60-ზე მეტი ქვეყნის მოქალაქეებს რეგიონში შესვლაზე შეზღუდვებს უწესებს“, ხელმისაწვდომია <https://civil.ge/ka/archives/340794>, ბოლოს ნანახია 17.05.2021.

[18] რადიო თავისუფლება, 2020, „ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში საგანგებო ზომები მკაცრდება“ ხელმისაწვდომია <https://bit.ly/33tuAcC>, ბოლოს ნანახია 17.05.2021.

2021 წლის 7 აპრილს ენგურის გადმოცურვის დროს ოთხი ადამიანი დაიღუპა.[19] ამ ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადმოსულებისთვის კარანტინის მოთხოვნა მოხსნა. დღეის მდგომარეობით, მხოლოდ სწრაფი ტესტის ჩაბარებაა სავალდებულო.

ენგურის ხიდთან პაციენტებს ხშირად 6-7 საათი უწევთ კატასტროფის ბრიგადის ლოდინი. ერთ შემთხვევაში, იმის გამო, რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა ენგურის ხიდზე გაუსაძლისი ტკივილების მქონე, საოპერაციო პაციენტის გადმოსაყვანად ვერ შევიდა, ნათესავებმა ავადმყოფი საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ხელით გადმოიყვანეს. ავადმყოფისთვის სასწრაფო ოპერაციის გაკეთება მხოლოდ 24 საათის შემდეგ გადაწყდა, თუმცა, ის თავდაპირველად კარანტინში ყოველგვარი გამოკვლევების გარეშე მოათავსეს.

პერიოდულად გალის რაიონის სოფელ საბერიოს საავადმყოფო მედიკამენტების მარაგის გარეშე რჩება. კრიზისს ამძიმებს გამშვები პუნქტების პერიოდული ჩაკეტვა და გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვები, რის გამოც, საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიიდან მედიკამენტების გაგზავნა შეუძლებელი ხდება. პანდემიის ფონზე გალის მოსახლეობა ადეკვატური სამედიცინო მომსახურების მიღებას ვერ ახერხებს.

ცხინვალში, პანდემიის დაწყებისთანავე ვრცელდებოდა დისკრიმინაციული[20] მოსაზრებები, რომ ვირუსს ქართული მოსახლეობა ავრცელებდა.[21] დე ფაქტო უწყებებისთვის მთავარი „ეჭვმიტანილი“ ახალგორში მცხოვრები ქართული მოსახლეობა იყო.[22] ადგილობრივი მოსახლეობის ვარაუდით, დე ფაქტო უშიშროების წარმომადგენლები მიზანმიმართულად ქმნიდნენ ფონს ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის დასარწმუნებლად თითქოსდა, ვირუსი ახალგორის ქართულმა მოსახლეობამ განზრახ გაავრცელა. არსებობდა მითი, რომ შესაძლებელი იყო თბილისიდან „ჩუმად გადმოპარულიყო“ ვირუსით დაინფიცირებული პირი, რომელიც ინფექციას გაავრცელებდა.

დე ფაქტო უწყების წარმომადგენლები პანდემიის დაწყებისთანავე საჯაროდ აცხადებდნენ, რომ პანდემიასთან ბრძოლისთვის სრული მზადყოფნა არსებობდა, თუმცა გავრცელებული ინფორმაციები ცხადყოფდა სამედიცინო დაწესებულებებში ვითარების კრიტიკულობას[23]. ერთ შემთხვევაში, ადგილობრივმა ექიმმა უარი განაცხადა საკარანტინო სივრცეში მოხვედრილი პაციენტების მომსახურებაზე, რადგან საავადმყოფოს ექიმებისათვის საჭირო აღჭურვილობა არ გააჩნდა.[24] ექიმს დაემუქრნენ და სამსახურიდან წასვლა მოსთხოვეს, თუმცა, მოგვიანებით, საავადმყოფოს ეკიპირება და თავდაცვის საშუალებები გადასცეს. ახალგორში ორი ადამიანი გარდაიცვალა,[25] რის მიზეზადაც ადგილობრივები სამედიცინო პერსონალის გულგრილობას და ახალგორის საავადმყოფოში კვალიფიცირებული სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო პრეპარატების და სამედიცინო ინვენტარის უქონლობას ასახელებდნენ.[26]

---

[19]რადიო თავისუფლება, 2021, „ნანუაშვილი: ხელისუფლებამ უნდა დასვას კითხვა, რა აიძულებს ათასობით გალელს რისკის ფასად გადმოვიდეს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე“, ხელმისაწვდომია <https://www.radiotavisupleba.ge/a/31192885.html>, ბოლოს ნანახია 17.05.2021.

[20] რადიო თავისუფლება, 2020, „აბსურდის „მარგალიტები“ ცხინვალიდან - დეზინფორმაციული შტურმი ლუგარის ცენტრსა და საერთაშორისო დამკვირვებლებზე“, ხელმისაწვდომია <https://bit.ly/2RJWXQV>, ბოლოს ნანახია 17.05.2021.

[21]რადიო თავისუფლება, 2020, „ზურაბ ბედიანაშვილი ოკუპირებული ტერიტორიების იზოლაციაზე“, ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3f2z7YQ>, ბოლოს ნანახია 17.05.2021.

[22]რადიო თავისუფლება, 2020, „ანტიქართული პროპაგანდა ცხინვალში, მზადება საგანგებო მდგომარეობის გამოსაცხადებლად“, ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3eAOoRK>, ბოლოს ნანახია 17.05.2021.

[23]რადიო თავისუფლება, 2020, „ფორმალური კარანტინი ახალგორში, გორში კი სამოქალაქო და სამედიცინო მეთვალყურეობა“, ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3fb62dB>, ბოლოს ნანახია 17.05.2021.

[24] რადიო თავისუფლება, 2020, „ცხინვალელმა ექიმმა სამსახურში მორიგეობაზე უარი თქვა“, ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3eAl4um>, ბოლოს ნანახია 17.05.2021.

[25]რადიო თავისუფლება, 2020, „საგანგაშო ვითარება - ჩაკეტილ ახალგორში დაღუპული ადამიანები“, ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3vTdxwE>, ბოლოს ნანახია 17.05.2021.

[26]რადიო თავისუფლება, 2020, „ახალი კორონავირუსი და ვითარება ოკუპირებულ ტერიტორიებზე“, ხელმისაწვდომია <https://bit.ly/2SxmywW>, ბოლოს ნანახია 17.05.2021.

5. პანდემიის გავლენა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მაცხოვრებელი ადამიანების უფლებრივ მდგომარეობაზე[27]

საქართველოს ხელისუფლებამ ვირუსთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების მიზნით, აფხაზურ [28] და ოსურ ენებზე თარგმნა კოვიდ-ინფექციის პრევენციისათვის აუცილებელი რეკომენდაციებისა და წესების შესახებ მასალები, მათ შორის, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებული პროტოკოლები და სახელმძღვანელოები. ოფიციალურ ვებ-გვერდზე[29] განთავსებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია აფხაზურ და ოსურ ენებზე; ადგილობრივი ექიმებისთვის რეგულარულ რეჟიმში მიმდინარეობს ონლაინ-კონსულტაციები; საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერით, აფხაზეთს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მისია ეწვია, ადგილზე არსებული მდგომარეობის შეფასებისა და რეკომენდაციების შესამუშავებლად; პანდემიასთან გასამკლავებლად, საქართველოს ხელისუფლება და საერთაშორისო ორგანიზაციები აფხაზეთს რეგულარულად აწვდიდნენ სამედიცინო აღჭურვილობას, მედიკამენტებს და ჰიგიენურ საშუალებებს. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ ქართული დახმარების მიღებაზე უარი განაცხადა.

საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ ანგარიშის მიხედვით[30], შესაბამისმა სახელმწიფო უწყებებმა ერთობლივად მოამზადეს ოკუპირებული რეგიონებიდან პაციენტების მართვის გეგმა. ენგურის ხიდთან გაიხსნა საველე პუნქტი, ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსული პაციენტების დასახვედრად. ინფიცირებული პაციენტების მკურნალობის მიზნით, აღიჭურვა და მუშაობა დაიწყო რუხის საავადმყოფომ, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისთვის უფასო სამედიცინო მომსახ-ურებაზე გამარტივებული წვდომის უზრუნველსაყოფად აშენდა. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს ღონისძიება არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვის და რეკომენდაციების შემდგომ განხორციელდა.

განსხვავებული მდგომარეობაა ახალგორის მიმართულებით, სადაც მოსაბრუნი-ოძისის ე.წ. „გადასას-ვლელი პუნქტის“ დახურვის შედეგად, ამ დრომდე სრულიად ჩაკეტილი და ხელოვნურად იზოლირებული რჩება ცხინვალის რეგიონი. [31] სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ უარი განაცხადა ქართული მხრიდან დახმარების მიღებაზე.

6. საზოგადოებრივი ორგანიზაციების განხორციელებული ქმედებები და რეკომენდაციები

2020 წლის 18 აგვისტოს საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა [32] საქართველოს მთავრობას, აფხაზეთში ვირუსის მკვეთრი აფეთქების[33] ფონზე, აფხაზეთის ჰუმანიტარული და სამედიცინო

---

[27]Civil.ge, 2020, „ციხელაშვილი „ბორდერიზაციასა“ და ოკუპირებულ ცხინვალში სამედიცინო სერვისების ნაკლებობაზე“, ხელმისაწვდომია https://civil.ge/ka/archives/352926, ბოლოს ნანახია 17.05.2021.

[28]კორონავირუსის საქართველოში გავრცელების პრევენცია - აფხაზურ ენაზე, ხელმისაწვდომია <https://stopcov.ge/ab/>, ბოლოს ნანახია 17.05.2021.

[29] კორონავირუსის საქართველოში გავრცელების პრევენცია - ოსურ ენაზე, ხელმისაწვდომია <https://stopcov.ge/os/>, ბოლოს ნანახია 17.05.2021.

[30]საქართველოს მთავრობა, 2020, „COVID-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში“ ხელმისაწვდომია http://gov.ge/files/76338_76338_444796_COVID-19angarishi...pdf,ბოლოს ნანახია 17.05.2021.

[31] Oc-media, 2020, „რა საფრთხის წინაშე დგას საქართველოს ჯანდაცვის პროგრამა აფხაზებისა და ოსებისთვის”, ხელმისაწვდომია<https://oc-media.org/ra-saprtkhis-tsinashe-dgas-sakartvelos-jandatsvis-programa-apkhazebisa-da-osebistvis/>, ბოლოს ნანახია 17.05.2021.

[32] დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, 2020, „არასამთავრობო ორგანიზაციების საგანგებო განცხადება აფხაზეთში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით“, ხელმისაწვდომია <http://www.democracyresearch.org/geo/379> ბოლოს ნანახია 17.05.2021.

[33]დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, 2020, „DRI: ოკუპირებულ ახალგორში პანდემიასთან ბრძოლისთვის რეკომენდირებული წესები სისტემატიურად ირღვევა“, ხელმისაწვდომია <http://www.democracyresearch.org/geo/308>, ბოლოს ნანახია 17.05.2021.

მხარდაჭერის გაძლიერებისკენ მოუწოდეს. არასამთავრობოების მიმართვას განცხადებით გამოეხმაურა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი და მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებებზე ისაუბრა.[34]

ეპიდემიის მეორე ტალღის დასაწყისში, 2020 წლის 19 ოქტომბერს, საზოგადოებრივი ორგანიზაციები ცხინვალის რეგიონში დამძიმებულ[35] ეპიდსიტუაციის გამოეხმაურნენ[36] და საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდეს[37], გაეძლიერებინა მოლაპარაკებები ცხინვალის დე-ფაქტო რეჟიმთან და გამოეყენებინა საერთაშორისო პოლიტიკური მექანიზმები, გადაადგილების თავისუფლების დროულად აღსადგენად და სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გასაზრდელად.

პანდემიის დაწყებისთანავე არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მათ შორის, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა, რეკომენდაციებით მიმართეს საქართველოს სახელმწიფო ხელის-უფლებას, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას და წითელი ჯვარის საერთაშორისო ორგანიზაციას ოკუპირებულ ტერიტორიებზე ვითარების გაუმჯობესების მიზნით[38].

მიუხედავად ამისა, ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალში სხვა საკითხებთან ერთად კვლავ პრობლემად რჩება:

- სამედიცინო ინფრასტრუქტურა
- კოვიდ 19-ის ტესტირებაზე ხელმისაწვდომობა
- მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა
- კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის ნაკლებობა
- განათლების უფლებით სარგებლობა და ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა
- გადაადგილების თავისუფლება

პანდემიამ უფრო მარტივი გახადა ოკუპირებულ ცხინვალსა და აფხაზეთში რუსული ძალის პოპულარიზაცია და გავლენების ზრდა, შედეგად გაიზარდა ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები. მნიშვნელოვნად გაუარესდა ადგილობრივების სოციალური, ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობა.[39]

რეკომენდაციები

❖ **მნიშვნელოვანია ხელისუფლების გააქტიურება, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების რესურსის გამოყენება სამშვიდობო პროცესში**

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი მიესალმება შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტის აპარატთან „შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის

[34] შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, 2020, „სახელმწიფო მინისტრის აპარატის განცხადება“ ხელმისაწვდომია<https://smr.gov.ge/ge/news/read/1904/saxelmwifo-ministris-aparatis-gancxadeba> ბოლოს ნანახია 17.05.2021

[35] რადიო თავისუფლება, 2020, „ინფიცირებული ექიმები ცხინვალში, მედპერსონალი შესაძლებლობების ზღვარზე“, ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3vWXNc1>, ბოლოს ნანახია 17.05.2021.

[36] დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, 2020, „საზოგადოებრივი ორგანიზაციები ცხინვალის რეგიონში დამძიმებულ ეპიდსიტუაციას ეხმიანებიან“, ხელმისაწვდომია <http://www.democracyresearch.org/geo/433>, ბოლოს ნანახია 17.05.2021.

[37] დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, 2020, „საზოგადოებრივი ორგანიზაციები ცხინვალის რეგიონში დამძიმებულ ეპიდსიტუაციას ეხმიანებიან“, ხელმისაწვდომია <http://www.democracyresearch.org/geo/349>, ბოლოს ნანახია 17.05.2021.

[38]დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, 2020, “DRI: პანდემიის პირობებში ოკუპირებულ რეგიონებში ჰუმანიტარული ვითარება უარესდება“, ხელმისაწვდომია <http://www.democracyresearch.org/geo/266>, ბოლოს ნანახია 17.05.2021.

[39] რადიო თავისუფლება, 2020, „შედარებით გახსნილი სოხუმი და მეტად ჩაკეტილი ცხინვალი“, ხელმისაწვდომია <https://bit.ly/2R0yNSB>, ბოლოს ნანახია 17.05.2021.

საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა საკონსულტაციო საბჭოს“ შექმნას და იმედს გამოთქვამს, რომ საბჭო ქმედითუნარიანი, ხოლო თანამშრომლობა ეფექტიანი და ნაყოფიერი იქნება.

ამის მიღმა, აუცილებელია ოკუპირებული რეგიონების მიმართ ხელისუფლების ქმედებები გახდეს პროაქტიული. ახალგორის გარშემო განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ ხელისუფლებას არ გააჩნია კრიზისების დროს კონკრეტული სამოქმედო გეგმა. მნიშვნელოვანია შეიქმნას ჰუმანიტარული მიმართულებით მომუშავე ადამიანთა სია. ასევე, მოსახლეობისთვის საკვებისა და მედიკამენტების დროულად მიწოდებისთვის, წინასწარ უნდა შემუშავდეს რამდენიმე ალტერნატიული გზა.

❖ განათლებაზე ხელმისაწვდომობა და ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა

სახელმწიფომ დამატებითი დახმარება უნდა აღმოუჩინოს გალის რაიონის სკოლებს, მათ შორის, შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობით და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მაღალი სიჩქარის მქონე ინტერნეტ პროვაიდერის შესვლის წახალისებით.

2020 წლის 1 მარტამდე, საქართველოს მთავრობას უნდა შეემუშავებინა ბავშვის უფლებათა კოდექსის მიზნებისთვის საჭირო დოკუმენტები და დაეგეგმა ღონისძიებები. აღნიშნულ პროცესში არ იყვნენ გათვალისწინებულნი ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ბავშვები და მათი საჭიროებები. პროცესში არ იყო ჩართული ასევე, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ ბავშვის უფლებების მიმართულებით განსახორციელებელი აქტივობების დაგეგმვის დროს, გაითვალისწინოს აფხაზეთში და ცხინვალში ასევე, გამყოფ ხაზთან მცხოვრები ბავშვების საჭიროებები.[40]

❖ ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის უფლება

ცხინვალში და აფხაზეთში მცხოვრებ ადამიანებს უნდა შეეძლოთ სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების დროულად მიღება. შესაბამისად, აუცილებელია სახელმწიფომ დაიწყოს მუშაობა როგორც ამ საკითხების მოსაგვარებლად, ასევე გალიდან და ახალგორიდან გადმოსული პაციენტებისთვის სერვისების გასამარტივებლად.

ხელი უნდა შეეწყოს ადგილზე არსებული საავადმყოფოების მედიკამენტებით და სხვა სამედიცინო აღჭურვილობით სრულად მომარაგებას. ვირუსის მართვის და მკურნალობის გამოცდილების გაზიარების მიზნით, უნდა შეიქმნას საკომუნიკაციო ხაზები ცხინვალის რეგიონის სამედიცინო პერსონალთან.

❖ ცხინვალში და აფხაზეთში ასევე, გამყოფ ხაზთან მცხოვრებთა ეკონომიკურ-სოციალური უფლებები

პანდემიასთან დაკავშირებით მიღებულ ანტიკრიზისულ გეგმაში მთავრობას არ აუსახავს გალში და ახალგორში მცხოვრები ათასობით თანამოქალაქის სპეციფიკური საჭიროებები. გამშვები პუნქტის დახურვის გამო, კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობა, რომელიც საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხოვრობს, თუმცა სეზონური სამუშაოსთვის ან სავაჭროდ გალში გადადის (ძირითადად ქალები), საარსებო წყაროს გარეშე დარჩა. მნიშვნელ-ოვანია მათი საჭიროებები სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამაში იყოს გათვალისწინებული.

[40]საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2019, „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, მუხლი99 „გარდამავალი დებულებები“, ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2>, ბოლოს ნანახია 17.05.2021.

სახელმწიფომ, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, სანიტარული ნორმების დაცვით, ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან აფხაზეთიდან ჩამოსული პირებისთვის უნდა უზრუნველყოს მედიკამენტების, პროდუქტების და პირველადი მოხმარების საგნების შეძენისთვის მუდმივად ფუნქციონირებადი პუნქტების მოწყობა.

- **გადაადგილების თავისუფლება**

ქართულმა მხარემ უნდა გამოიყენოს ყველა მექანიზმი, რათა მიაღწიოს უკანასკნელ წლებში დაკეტილი საკონტროლო-გამშვები პუნქტების ხელახალ გახსნას.

- **კოვიდ 19-ით გამოწვეული შედეგების აღმოფხვრა**

სახელმწიფომ, პანდემიის გავლენის შესამცირებლად, ცხინვალსა და აფხაზეთში, აგრეთვე გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობისთვის მდგომარეობის შესამსუბუქებლად, უნდა შეიმუშაოს მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული *მიზნობრივი პროგრამები.*

აფხაზეთში და ცხინვალში მცხოვრები ადამიანები, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისგან განსხვავებული გამოწვევების წინაშე დგანან, შესაბამისად, მათ განსაკუთრებული მხარდამჭერი მექანიზმები ესაჭიროებათ. კონკრეტულად კი, არსებულ საგანმანათლებლო და ჯანდაცვის პროგრამებთან ერთად, აუცილებელია *სპეციალური ფინანსური დახმარების* სახელმწიფო პროგრამაც შეიქმნას.